



საქმეაფვილთ



ქუჩნალო

მკირე ქლოვანთათვის.



დეკემბ. №№ 23, 24.

1915 წ.

24

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

# გაზეთი

წელიწადი მკ-XI.

№№ 23, 24.

დეკემბერი, 1915.

241



საქართველოს სსრ-ის  
თბილისი  
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი:

I— შობის ანგელოზები, — სურათი . . . . .	1
II— „ნაკადულის“ მკითხველები:— I, ღენა და თებრო ჩერქეზი- შვილები, თბილისი, — II, გენო ხეჩუაშვილი, თბილისი, — III, ნი- კო და პირიმზე ლამბაშიძეები, — IV, ელიკო და მარგო წერეთ- ლები. . . . .	3
III— შობა სალამო, — ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	4
IV— პატარა ბიჭი და წმინდა ნიკოლოზი, — საშობაო მოთხრობა, თარგმანი ნ. ა— სი . . . . .	7
V— შობის ხე, — ლექსი გ. თეძმისხვეელისა . . . . .	15
VI— ჩვენი ლაბუა, დ. ძეძამიძისა . . . . .	17
VII— მელა და არწივი, — (თარგმანი უკრაინულით) ა. კ— ისა. . . . .	25
VIII— დევისა და კაცის არაკი, — სამეგრელოში ჩაწერილი ზღაპა- რი იოსებ ყიფშიძის მიერ. . . . .	26
IX— ცხოველების შეგობრობა, — თარგმანი ზედოზნელისა . . . . .	29
X— გასართობი: მოძრავი სტეარინის სანთელი და რებუსი. . . . .	31

„სადაც უღმარა“

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



გვიტოვებენ





## ზოგა საჯამო



ობის წინა ღამე არის,  
მეტის მეტი მხიარული,  
აუვავეებულ ნამდვის ხესთან  
ბაუშეებს გააქეთ ქრიაძული.

რივი სტის და რივი როკავს,  
დარბის, დასტის, დაცხანცალებს  
და მოლად ცეცხლში გახვეულ ხეს  
არ ამორებს არვინ თვალებს.

ვილაც გაჩნდა იმათ შორის,  
ცოტა ტან-ფეხ დაფლეთილი,  
სიცოცხლეს კანკალებდა  
და უცემდა კბილზე კბილი.

ურძლია გუნდის შედგა უცბად,  
აქამდის რომა ქედრდა;  
გამტკრებით, გაოცებით  
უველა მხსუსს მიჩნერდა.



მშობლებმა სმა როდი გასცეს,  
 უეურეს თავიანთ შვილებს,  
 ეგონათ, თუ მათში ვინმე  
 უცხოდ მოსულს გააწილებს.

მაგრამ არა, წელში მოხრილს  
 შემოერთუნენ როგორც რკალი  
 და ფიქრობდა სუეველა ერთს—  
 რას ითხოვდა ეს საწუხელი.

საბერკაცო მხიარულ გუნდს  
 როცა არაფერი ჰქონდა,  
 მათში შესვლა და გარევა  
 ნეტავ რისთვის მოაგონდა?!

—ბაღლებო, ნუ შეახერებთ  
 სიძღვრას და სტუნაობას,  
 თორემ დიდად შეწუხებთ,  
 გულით ვფიცავ თქვენსავე ურმობას.

ილხინეთ და ითამაშეთ,  
 როგორც კსურდეთ, როგორც კწაღდეთ,  
 მხოლოდ ღარიბ ობლებიისთვის  
 ცოტა რამე მიწილადეთ.

ზოგს მამები ომშია ჭყავთ;  
 არიან კვლავ თუ აღარა,  
 ცქრიალა და ქორუა კრებულს  
 ვერას გეტყვით ეს ჭაღარა.

ნათელ-სახე ეველას ერთად  
 შეებრალა, შეეცოდა;  
 თითომ თითო სათამაშო  
 მოგლიჯა და მიაწოდა.

აჭა, ჰაზა, ჩვენს შავიურად  
 წაიღე; თუ არ იკმაროს,  
 გულ-ნაკელულად ნურვის განდი:  
 ისევ მოდი ხვალ საღამოს.

მოხუცებულს თვალებიდან  
 წვეილი ცრემლი დაუგორდა,  
 სათნოებით სავსე ბაღლებს  
 მადლი უთხრა და გამორდა.

ბაღლები ვერ მიძხვდარიუვნენ—  
 მოხუცს რაზე აეტირა,  
 და რაც სახუქრები მისცეს,  
 იქვე რაღად გაეწირა...

მეორე დღეს უბან-უბან  
 ერთი კაცი დადიოდა,  
 საწულებს ქოსს რო ნახავდა  
 მოწიწებით მიდიოდა.

მოხარდით თავზე ხელს უსვამდა,  
 უევაკებდა, არიკებდა,  
 ლოცავდა და უღეგეღად  
 თან სახუქრებს არიკებდა.

ობოლთ გული მთელდებოდა,  
 ერთი ორად იქნებოდა;  
 ბაღლებო, ის მადლიანი  
 არ იცით—ვინ იქნებოდა?!

შიო მღვიმელი.





## პატარა ბიჭი და წმინდა ნიკოლოზი



ავშვების თავშესაფარში საათი წენარად, აუჩქარებლად აკაკუნებდა. უკანასკნელი წუთები-და დარჩა შობის წინა დღის დაღამებამდის. თითქოს საათს იმის დარდი არ ჰქონდა, რომ სამზარეულოში სხვა-და-სხვა სამზადისი იყო და ორმოცი ჰატარა ბიჭი სცდილობდა გაეგო, თუ რა ტბილუელობას აკეთებდნენ სადღესასწაულოდ. ქუჩებში მეღუქნეები სწრაფად ხურავდნენ დარბაზებს და უღოცავდნენ ერთმანეთს მოძვეალ დღესასწაულს. სამთარმა თავისი ბატონობა გამოაცხადა და მთელ ქალაქში თოვლის კორიანტელი ააყენა. დიდ დარბაზში საათის კაკაკუკი და კამათლების სძაურობა ერთმანეთში ირეოდა. ბავშვების ფრთხილი ლაპარაკი და გრიფელთ ფსაგნა დაყასე, რომელსედაც ერთი ბიჭი ანგარიშობდა, რამდენი დრო დარჩა სვალ სადილობამდის, არღუევდა ოთახის მუდროებს. მეთვალურეს ჩასთვლიმა თავის შავიდასთან. სადღაც გაიჭრიალა კარმა და ვიღაცეც გაწეწილი თავი გამოჩნდა კარებში.

— თომა, — წაიხურულა თავმა, — ჭეი, თომა, მოდი ნახე, როგორ სძინავს ჰატარას.

მემის კურტკაში გამოწეობილი მოსრდილი ბიჭი, ორ სკამზე რომ იჯდა და თამაშას უეურებდა, ადგა და გაიხედა

\*) ინგლისში წნაით, რომ შობა ღამეს წმინდა ნიკოლოზი შობის და საჩუქრები მოაქვს ბავშვებისათვის. ამიტომ ბავშვები ამაღლებენ საჩუქრების ჩანაწეობად ფესხაველებს, რომ წმინდა ნიკოლოზმა ყველას რამე დაუტოვოს.



კარებისაკენ. ამხანაგის მნიშვნელოვან მასილზე ცნობისმოყვარეობა გამოეხატა სახესზე და გასწია კარებისაკენ. რაღაც უზურზულეს ერთმანეთს და ორივენი გავიდნენ. კარები მოიხურა და ოთახში ისევ სინუშე დაძვარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბიჭები დაბრუნდნენ. დიდმა ფრთხილად მიხურა კარები და მივერდნო ზურგით.

— უმაწვილებო, — სთქვა მან, — როგორ გეონიათ? ღმერთმა დაძწეუკლოს, თუ ჰატარას თავისი ხულქი არ ჩამოგვიდოს წმინდა ნიკოლოზის ძოლოდინში!

ძოთამაშენი შეჩერდნენ. გრიფელმაც თავი დაანება დაფაზე ფხატნას. განცვიფრებისაგან ეველას სუნთქვა შეეკრა.

— წამოდით ზევით, — თვითონ ნახავთ, — მოკლედ დაუძატა მან და გაუძვია წინ.

ეველა ბავშვები თითის წვერებსზე გაჭყვნენ. წინამძღოლი კიბესთან შეჩერდა.

— იცოდეთ, — არ იხმაროთ! — უთხრა მან მუქართ ბავშვებს. — შენ, ეი, მოძღვრელო! — მიძართა მან დაკერებულ ხალხთთან, ეშპაკი თვალების მექონ ჰატარა ბიჭს. — ძამუნობას თავი დაანებე. თუ დანცინებ ჰატარას, ან გააღვიძებ, იცოდეთ, კბილებს ჩაგამტვრევ!

ამნაირი გაფრთხილების შემდეგ ეველამ გასწია ზევით. თავშესაფარის საწოლი ოთახი შესაძე კლასის ვატონს მოგავიწყებდათ; ბავშვებს ზოგს გრძელ სკამებსზე და ზოგს თაროებსზე ეძინათ. ოთახის ბოლოში, უკანასკნელ სკამლოკინზე, საბანში გახვეულს სრულიად ჰაწაწინა ბიჭუნას ეძინა. ქერა, გაწეწილი თმა ნახევრად უფარავდა ბავშვურ სახეს. საწოლის ბოძზე ეკიდა ძველი, დაღვრული ხულქი. ეტობოდა, რომ ჰატარა ცდილიყო საქმე გაქაღვილებისა წმინდა ნიკოლოზისათვის. დიდი გამოკლევითი ადგილი მუსლის თავზე, სათამა-

მოგბო რომ არ გამოცვივს უღიეო შვერული იყო კანაფით. ბავშვები ჩუბად, გაკვირვებით შეჭურვებდნენ სოცარ სანახობას. მოძღვრალიც ჩუბად იყო.

ზატარა ვილლი, ან როგორც თავშესაფარში ეძახდნენ: „ზატარა“, — ნაზოფნი ბავშვი იყო. ამ რაბდენიძე თვის წინად მოყვანილი თავშესაფარში. მისი ამბავი არაფერ არაფერი იცოდა, იქას გარდა, რომ დედა ჰქავდა საზავადმოფოში. თუშცა თავშესაფარში ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ბევრმა მათგანმა თავისთავზე ამდენიც კი არ იცოდა. მხოლოდ თავის სახელს თუ გეტყოდნენ, თორემ სხვა არაფერი იცოდნენ. ქუჩის ბავშვები ცრუმორწმუნენი არ არიან. წმინდა ნიკოლოზი იმათთვის შემოსავლის წყარო იყო. დღესასწაულის წინა დღეებში უიღდნენ კარტონზე უყრადით დასატულ წმინდა ნიკოლოზის ხატს. ზატარას გულუბრუვილო რწმენა რაღაც ზატარისცემას, მოწიწებასა და შიშს იწვევდა იმათ გულში. ერთ წუთს ჩუბად შეჭურვებდნენ ბავშვს და შემდეგ ფეხის თითებზე გაეძარტნენ ისევ ქვევით.

— ემაწვილებო, — სთქვა თომაძე, როდესაც ისევ დიდ დარბაზში შეიკრიბნენ უველანი; რადგანაც იგი მძალდი იყო, მეტ სანულად „ასმასს“ ეძახდნენ და უოველ საზატოო საქმეში ზირველი სმა მას ეკუთვნოდა: — ემაწვილებო, ხომ თქვენ თვითონ ნახეთ: დღეს ჩვენ მოგვეკვლინება წმინდა ნიკოლოზი. მე კი არასოდეს არ მქონია საქმე იმ მოხუცთან. მკონია სრულიად დადავიწყდა, რომ მე ვცხოვრობ ქვეუანახე; მაგრამ ზატარა მოელის მას აძელამ და ისიც უსათუოდ უნდა მოვიდეს.

თომაძე რაღაც ძალიადინით გადაავლო ეველას თვალი. ორი ბიჭი: კოჭლიამსხარა და ლეში სმა-დაბლა ელანძარაკებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ კოჭლმა მასხარამ სმა-ძალდა გამოაცხადა:

— ემაწვილებო, ლეში ამბობს, რომ...



ქართული  
ენის ენციკლოპედია

— ბრიუეო, კოჭლო მასხარაჲ, ღაზარაჲის ნება თავმჯდომარეს უნდა სთხოვო, — მკაცრად გააწვევტინა სირეჲა თომაძე, — თორემ ერთს კარგად მიგჯობსაჲ, გესმის? ცოტაა შენტვის ერთი მოტეხილი ფენი?

— სინჯე აბა, ანძისო! — დაძმუიებით შიუგო კოჭლმა მასხარაძე. — ჩვენ ახლა მიტინგი\*) კი არ გვაქვს და ცხვირს მადლა ნუ სწევ, ნუ ეოუაზობ! მამ ეური დამიგდეთ, ემაწვილებო: ლეძი აბობს, კარგი იქნებოდა, რომ გვესესხნა ფული კასაში და საჩუქრები გვეყიდა ჰატარანათვის. ვერცაჲი მიხვდებო — ჩვენგან არის თუ წმინდა ნიკოლოზისაგან.

წინადადება ეველამ ერთხმად სიამოვნებით მიიღო. თავის მოვალეობის ასრულებას შეჩვეულმა თავმჯდომარემ მაციდაზე დააკაკუნა.

— სმა ჩამოტარებულია და ერთხმად მიღებულია, — გამოაცხადა მან: — ვსესხულობთ ფულს კასაში ჰატარანათვის საჩუქრების სასყიდლად. გავსწიოთ, ემაწვილებო!

კასა აქვე სახლში იყო და შეთვალეურე განაგებდა. საჭირო იყო რეჲვა ეკისხათ იმისთვის, მით უფრო, რომ სესხის გამოტანის ვადა გასული იყო. მაგრამ როდესაც ლეძმა, კოჭლმა მასხარაძე და ანძისმა აუსხეს ამხანაგების სახელით, რამაც იყო საქმე, შეთვალეურე მაშინვე დაეთანხმა, გასხნა კასა და შეამოწმა ეველა ბავშვების ანგარიშები.

ბავშვების თანხა შესდგებოდა სხვადასხვა შემოსავლისაგან: ფულს შოულობდნენ ქუჩაში ფესნაცმელების წმენდით, ეიდნენ გასეთებს და კალენდრებს. როცა იანგარიშეს, გამოაკლეს ეოველდღიური ხარჯის ფული და გაფუჭებული ან გატეხილი ნივთების ფასი, ბავშვებს დარჩათ წმინდა ფული საში დოღღარი\*\*) და ორმოცდაათი ცენტი\*\*\*). მხოლოდ მო-

\*) კრეზა. — \*\*) დოღღარი ორ მანეთს უდრის. — \*\*\*) ცენტო — ორი კაკიკია.



მღერალს არ აღმოაჩნდა შემონახული არაფერი, რადგანაც „გიჟურ გუნებაზე“ იყო და ცოტა ხანში დიდი ხარალი მიავენა თავშესაფარს. მაგრამ კარგი შემოსავლის მოლოდინში კასამ ასესსა მასაც 25 ცენტო. დიდი სმაურობა და სიხარული გამოიწვია ამოდენა ფულის ქონებამ და ეველანი აქჩარებით გაემურნენ მადახიებისაკენ, რადგანაც ემინოდათ არ დაეკეტათ.

კარგა მოკვიანებით თავშესაფარში დაბრუნებული ბავშვების პროცესია მართლაც წმინდა ნიკოლოზის სადღესასწაულო მკსავრობას მოგაკონებდათ. შორიდანვე მოისმა იმათი მღაღი სხვა-და-სხვა სმაზე კრიაშული, მაგრამ კიბეზე ასმახის მკაცრი ბძახებით სრული სიხუჟე ჩამოგარდა, ემინოდა— პატარა არ გაელვიძებინათ უდროოდ. წინდების ამარა, ფესსაცმელებით სელში, შვეიდა ბავშვების ბრბო საწოდ თათხში. ეველაფერი რიგზე იყო. პატარას მშვიდად ემინა და ძილში იღიძებოდა. იმ კარემოვებამ, რომ ბავშვი იღიძებოდა, — ბავშვებს ეჭვი აღუმრა გულში, — ხომ არ მოძკვდარა პატარაო. მომღერალმა უთხრა ბავშვებს გამოსაცდელად ეჩქმითათ პატარასთვის ფესზე, მაგრამ ამას შეეძლო ბავშვების კეკმა დაურღვია და არ დაეთანსმენ. კოჭლმა მასხარამ ამხაირად ასსნა ეს მოვლენა:

— პატარა სედაგეს სიხმარში, რომ წმინდა ნიკოლოზი მოვიდა, — შენიძნა მან და ფრთხილად ჩადვა ჩულქში ბურთი და ბზრიღაღა.

— აბა უუეროთ! — წაიხურხულა ასმახმა, როცა ლოგინთან დიდ დაფს დგამდა: — მკონია მოხუცი მართლა აქ სადმე არის. თავის სახელოსნო თითქოს აქ გადმოიტანაო; განა ასე არ არის?

როდესაც ვეველაფერი დააღაგეს, ბავშვის საწოლი მართლაც სათამაშოების დუქანს დაემსგავსა. სავეირი დიდი ცდისა და შრომის შემდეგ ჩუქქში ბზრილასთან გახნდა და თავდაბლად მიეუღა ჰატარას საწოლის ბოძს, თითქოს რაღაცას ელისო. ფერადებით სასატავმა რეკულმა, ვეფსეები და მწვანე დათვები რომ ესატა უდასე, ბალიშთან მიავნო ადგილს. აქვე ეწეო ფერადი ფანქრები. საწოლის ბოძზე და ზვეით საწოლის კიდევზე ჩამოკიდული იყო მწკრივად კანფეთები და სხვადასხვა ფერი შუშის მძივები. ღია სწრაფი მატარებელი იქვე ასლოს იდგა.

მატარებელი სავსე იყო ნაძვის ტოტებით, რომ ჰატარას არავითარი ეჭვი არ შეჭზაროდა ღამის უსვ სტუმრის შესასვბ ბოლოს მომღერალმა საიდგანლაც ჰატარა, ვეითელი, გრესილ-მობშული მამშუნი გამოიღო. ეს მამშუნი აქამდის არავის დაუნასავს.

— მე ეს ამოვაცაცე მედუქნეს ჰატარასათვის, — მოკლედაუსსნა მან ამხანაგებს.

როდესაც ვეველაფერი დააღაგეს, ვეველამ თავის საწოლს მამშურა, მაგრამ კიდევ დიდხანს არ დასმინიათ. შუალამეს კარგა გადაცილებული იყო, როდესაც მშვიდი, ღრმა სუნთქვა მოისმა ვეველა საწოლიდან და ვეველას ტბილად ჩაემინა.

განთიადის ჰირველი შუქი შეიჭრა თავშესაფარის საწოლ ოთასში და ნას ვარდისფრად ააფერადა გაუინულ ფანჯრის მუშები, როდესაც ჰატარას საწოლიდან გაისმა ისეთი მღღღლი, სინარულით სავსე ვეირილი, რომ ვეველას უცვბ გამოედგობა.

— ალლო, \*) — შეკვივრება ასმასმა თვალებით ფშვნიკად და  
 სწრაფად წამოჯდა ლოგინში. — ასლავე, ბატონო, ამ წუთში,  
 ჰეი, შენ, პატარავ!..




პატარა იდგა ფეხშიშველი თავის საწოლთან. ცალ ხელში  
 ეჭირა ბზრიალა, მეორეში — სავეირი და დაფის ორი ჯოხი. გა-  
 ბრწეინვებული თვალებით უეურებდა დატვირთულ მატარებელს,  
 ბურთს და ვეელა დანარჩენ სათამაშოებს. ვეელა საწოლიდან  
 ეელ-გამოწვდილი ბავშვები მოცინარი სახით უცქერდნენ პატარას.

\*) იპო!

მეტი სიხარულისაგან ბედნიერმა ჰატარამ დაუკრა საუვი-  
 რი. ბავშვები თითქოს ნიძანს ელოდნენ: გადმოსტნენ თავიანთ  
 ლოკინებიდან და, როგორც იუნენ საცვლებში, ცუკვითა და თა-  
 ძაშით დაუარეს ირგვლივ ჰატარას. კოჭლი მასხარაცუკი არ  
 ჩამორჩა ამხანაგებს.

— გეუიცებით წმინდა მოსეს, — სთქვა თოძამ, — რომ წმინ-  
 და ნიკოლოზი იყო ჩვენთან წუსელის და დაუტოვა ჰატარას,  
 რაც სათამაშოები ჰქონდა. წუეული ვიყო და თვალები დამი-  
 ბრძავდეს, თუ ვსტეუოდე.

6. ა.





## უოზის ხე

ნებიერო, მდიდრის შვილო,  
დღეს შეჭხარი ქრისტეს შობას,  
შობის სის ქვეშ დანავარდობ,  
არეინ გიძლის თამამობას.

მაღლა სართულში დანტინარ,  
არა გცივა აზის ტანზე;  
სან თბილ სასლში შევარდები,  
სან გამოხვალ აივანზე.

გისწიან, რომ შობის ხე  
ძორთული დგას შენს ოთახში;  
ანცობითაც კი ახარებ,  
უკელას აღსენ მთელს ოჯახში.

უძანკო ხარ და გულწრფელი,  
უძხავერო და ანცი, ძარდი,



თავისუფლად მიმოჭურინავ —  
 ან რად გინდა ჭმუნვა-დარდი!..

ინებიერე, ისტუნავე,  
 ანგელოხო, დედის ვარდო.  
 ეგ უმანკო გული გქონდეს,  
 როცა დიდი გაიხარდო.

და მეც მაშინ მოგილოცავ  
 დღესასწაულს, ქრისტეს შობას.  
 მომავალი კარგი ჭქონდეს  
 შენს ანცობას და ბავშვობას.

სტ. კირილე

გ. თემისხეველი





## ჩვენი „ლაზუა“

I

(მოგონება).



ერთად მოსიუვარულე დედა იყო ჩვენი დაბუბ-  
კრუსი თავის წიწილებისა. მთელი დღე იმაზე  
ზრუნავდა, რომ ისინი შშივრები არ დარჩენი-  
ლიყვნენ, არ შესცივროდით, ან ვისმე რაზე არ  
ეგნო. იპოვიდა თუ არა სიმინდის ძარცვალს,  
ან ჭიაუელას, მაშინვე დააქუცმაცებდა და დაუძახებდა თავის  
შვილებს: კუტ, კუტ, კუტ, აქ გამოიქეცით, ჩემო ბუნჩულებო,  
კაკები უნდა. გაჯამოთო!

წიწილებსაც ესმოდათ დედის ენა და ძახილზე თავაზირის  
მტკრევით შირბოდნენ მისკენ.  
როცა ისინი სირბილით და  
თამაშით შოიღლებოდნენ, დაბუბა  
დაუძახებდა, დაუბუღებდა და  
ტკბილ ნახას ეტეოდა: კრრუუ,  
კრრუუ, კრრუუ! რაც ქათმურს  
ენახე ნიშნავდა:



— დაიძინეთ, ჩემო თვალის ჩინებო, გვეოყბათ აძღვნი სირ-



ბილი, შორს ნუ მომცილდებით ხოლმე, თორემ წვეული ქორე მოძრაგებს თქვენს თავსო!

მე და ჩემ შმას გოგის თვითო წიწილა გვეზვდა დახემა-ბული, რომლებსაც შესაფერი სახელები დავარქვით: დომუღლა და ქაჩორა. ქაჩორა ძალიან ცქვიტი წიწილა იყო, სულ გარე-გარე დარბოდა და დედან არ ეკარებოდა. მის და-ძმებს რომ რამე სასუსნავი ეპოვნათ, ის მაშინვე იქ განდებოდა, გამოსტაცებდა ზირიდან, თავად გადაულაპავდა და იმათ ზირში ხალა-გამოვლებულს დასტოვებდა. როცა სსვა წიწილები დედის თბილ კალთის ქვეშ დაიბუდებდნენ, ის ღაბუას ზურგზე შეასტებოდა, რიხიანად მის კისერზე ნისკარტს კაიწმენდა და მერე თავის და-ძმებს გადასმასებდა:

— წივ, წივ, წივ, მანდ რასა სძვრებით, თქვე ღაჩრებო: ი რადაც ქორია, მაგრე როგორ შეკაძინათ! ერთი მოვიდეს, და მე ვუხვენებ იმას სეირს!

დომუღლა დედის ნებიერი იყო და არა შორდებოდა. როცა ღაბუა თავს დაბლა დაიღებდა და თავის ბუნხულებს ზღა-ზრებს უაძობდა, ან დარიკებს აძლევადა, დომუღლა წინ ედ-ვა და სულ ნისკარტს უკაცნიდა.

გოგი თუძცა ჩემზე ორი წლით ჰატარა იყო, მაგრამ გამბედაობა და მოხერხება ჩემზე მეტი ჰქონდა; ამიტომ ის ადვილად დაიჭერდა ხოლმე თავის ქაჩორას და გადუნებოდა. მეკი იმეათად ვასერხებდი დომუღლას დაჭერას და მასთან აღერსს; მით უმეტეს, რომ ღაბუას სუძრობა არ უეკარ-და, და როცა მივეხლოვდებოდი ხოლმე დომუღლას დასაჭე-რად, ის გაიფაფრებოდა, თავის წვეტის ნისკარტს შუბივით წინ გამოიწვდიდა და დაიძახებდა:

— კრსუუ!—იქით გამეცაღე, თორემ თავ-პირს დაგაღადრეო! ერთსელ დომუღლა დედის ცოტა მოშორებით თამაშობ-და თავის და-ძმებთან ერთად. მივეპარე და ვტაცე ხელი. ამ

ღრთს ღაბუა-კრუსი შეცა სასესე, შიგ მარჯვენა თვალით  
 ძირში ნისკარტი ჩამცხო და ქვემო ქუთუთო სადგისივით ჩა-  
 მიხვრიტა. კიდევ კარგი, რომ თვალაძდის ვერ უწია, თორემ  
 სამუდამოდ ცალთვალად დამარჩენდა. ამის შემდეგ სამუდამოდ  
 ხელი ავიღე დომუალას დაჭერასე, რადგან მისი დედის დი-  
 დი შიში დამჩემდა და დღის სავალზე ვერიდებოდი.

## II

მე და გოგი ერთხელ ბაღჩაში ტალახისა და კენჭებისა-  
 გან რუსე სიღს ვაკეთებდით. მე მას იჩიხრობა დაუწუნე,  
 რადგან თაღები კოსტად ვერ გადაჭყავდა და შველის მავიერ  
 ხელს მიძლიდა. მან იუკადრისა ჩემი შენიშვნა და, ზირიქით,  
 მე დამწამა მუშაობაში დაუდევრობა. ამ შეკამათებას შედეგად  
 ის მოჭყვა, რომ ჩემი ნაშრომ-ნაამაგვევი სიდი მას დარჩა,  
 მე-კი სხვა ადგილას მომიხდა სიღის კეთება.

თუცა ეს გულში ძალიან შეწუხინა, მაგრამ იმით ვნუგუ-  
 შობდი, რომ მე უფრო კარგ ოსტატად ვერმხობდი თავს და  
 საკუთრად ჩემი ამხენებელი სიდი უფრო ძველრი და მხოიანი  
 იქნებოდა. ამიტომ გაორკეცებული ხაღისითა და მხეობით  
 შეუდგეჩი საქმეს.

მართლაც, საუცხოო სიდი ავაშენე და მერე დიდხანს  
 ვსტკებებოდი ჩემი ნაწარმოების მხერით. შემდეგ გოგის დაუ-  
 ძახე, რომ მისთვისაც მჩვენებინა ჩემი ნამუშაურის უშირა-  
 ტესობა და ბრახსე მომეყვანა; მაგრამ მას მარტო ეოფნა  
 მოსწვენოდა, სიღისთვის თავი გავენებებინა და ბაღჩიდან გა-  
 სულიყო.

მე ბაღჩის კარებისაკენ წაველ მის დახამახებლად. შიგ  
 კარებში ღაბუა მიწასა ღადრიდა და თავის შვილებს ჭია-მატ-  
 ლებს უძებნიდა. როგორ მოქცეულიყავ, აღარ ვიცოდი; კა-

რებში ვერ გავიდოდი, რადგან კრუსისა შემინოდა. ბაღის



ლობე მადალი იყო, ვერ გადავიდოდი; გარედ-კი არავინა ჩანდა, რომ დაშემსნა საშეუ-  
ლად.

— ალბად მინ სადილობენ,  
და იმიტომ არავინ გამოდის  
გარედ,—ფიფიქრე მე.—აქ გო-  
კიმ ჩემი გაკეთებული სიდი  
დაისაკუთრბ; იქ კიდევ ჩემ

კერძის ჯამს დაეპატრონება. წვეული კრუსი-კი დარაჯვიით  
ჩამდგარა ბაღის კარებში და გასავალ გზას არ მძალეკვს. სწო-  
რედ სატირალი იყო ჩემი საქმე... და ამოუშვი ბღრიალი.

ტირილზე ჩემი უფროსი და გამოვიდა. როცა გაიგო მი-  
წესი ჩემი ტირილისა, კრუსი კარებიდან გაბგდო, შემოვიდა  
ბაღისში, სელი მოშვიდა და მინ წამიყვანა.

— არ გრცხვენია, ბიჭო, კრუსისა როგორ შეგემინდა  
მაგოტელა კაცს?—მკითხა მან.

— ჰო, აბა შენთვის ეგბინა თვალის ძირში, თუ არ შე-  
გემინდებოდა,—უპასუხე მე.

ჩემი ტირილის მიხეზი ეკვლამ გაიგო. შევედი თუ არა  
სახლში, გოკიმ მართო უვირილი:

— უუ, მძიძარა, მძიძარა!

მე, შერცხვნილი, კუთხეში გავხერდი და ხმას არ ვიდებ-  
დი. უგრძობადი, რომ მართლა სსსაცილო იყო ჩემი შიში.

სირცხვილის თავიდან ასაცილებლად გადავწვეიტე, როცა  
ჩვენები თვალს მომარიდებდნენ, აქედო დიდი ფინხი და შე-  
ბრძოლებოდი ჩემს მტერს დაბუას. ფინხი მტრის იერიშისა-  
გან სახეს დამიფარავდა; მას-კი შეილებიანად დიდი განსაც-  
დელი მოელოდა.

იმდენად დიდი იყო ჩემი გრძნობა შურის მიებისა, რომ უსათუოდ ავასრულებდი ჩემ განზრახვას, ერთ შექმთხვევას რომ გონს არ მოვეუფვანე, რის შემდეგაც არამც თუ აღარაფერი ვაგნე ღაბუას, ზირიქით—მისი შიში და სიძულვილი შეგობრობად შექცევალა.

III

მაისის მზიანი დღე იყო. ვარდის სურნელებით გაქლენთილი ჭაერი ადამიანის ენოსვას უაღერებდა და ეოველ სულდგმულს სიცოცხლის ხალისს ჰმატებდა. ვეკლბ ხარობდა, მოძრაობდა, რასმე აკეთებდა. ვენახებიდან ვაისის მხვეველი გოგოების და მწამლავი ბუბების მხიარული სიძღერა და ეიჟინა ისმოდა. ფრთოსანთა გუნდის ჟრიაბული ცასა სძრავდა. ჩვენი ღაბუა ღობის ძირას ნაგავსა ჰქექდა და ფერვით გამაძადარ წიწილებს ახლა ჭია-მატლით ეელს უკოკლოზინებდა.



ამ დროს მე და გოგი ჯოსის ცხენებს დავავჯირითებდით. მე, როგორც მასზე სხარტი და გრძელკანჭება, წინ მოვაქროლებდი, ისკი ჩასუქებული და ჩამკრივებული, უკან მოძ

ჩანჩალებდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა წკველას უტეხუნებდა თავის რაშს; თან მოძმასოდა:

— ეს ჯერი არ არის, ქაჯან: ჩემი ცხენი გაქირანია და იბიჯომ ჩამოგონი უკან!

უცებ ჩვენს ფურცლებზე, რომლებიც ბაღის ერთ მხარეზე არის ჩამწკრივებული, ჩიტებმა კრიამული შესწვეტიტეს. გაისმა დაბუს თავკანწირული უვირილი: „კორიის, კორიას!“ რაც ნიშნავდა: არიქა, შეიღებო, მტერიო, ჩემთან გამოიქეციო!

მართლაც, ფურცლების მხრიდან ფრთებ-შეკუშული ქორი ისარავეით დაეშვა და ღობის ძირას რაღაცას დააცხრა. გაისმა: წიავე, წიავე!

ფრთებ-გაუფორული და ნისკარტ-წინ-გაწკვიდილი დაბუა ვაგეჩანა იქით, სადაც ქორი დაეცა. აფრინდა ქორი და აჭეუბ თან კრუსი. შეიქმნა ფიცხელი ომი ჭაერში. მალე ქორის კლანჭებიდან განთავისუფლებული წიწილა დაბლა ჩამოვარდა, მაგრამ ქორი და კრუსიკი ბრძოლით ისევ მდლად-მდლად მიდიოდნენ.



— ჭაე! ჭაე! — გაისმა ბუბიას სმა, რომელიც კრუსის კრიასზე გარედ გამოვიდა.

— უი, ქორს კრუსი მოუტაცნია, კრუსიო!

მე და გოგი განცვიფრებით შევეურებდით ამ სურათს.

ჩვენი ბაღის ბოლოში დიდი ალვის ხე იდგა. კრუსი და ქორი თითქმის იმის

წვერს დაუსწორდნენ; მერე-კი დაბლა დაეშენენ და ორივეს მიწაზე სამხანი გასცვივდა. დაბუა, იმის მიუხედავად, რომ

ჯიჯლიბო მთლად სისხლში ჭქონდა მოხვრილი და აქაიქ ამოძვრალი ბურტულიც მოწმობდა, რომ ტანზედაც ბლომად უნდა ჭქონოდა ჭრილობები, მარდად წამოხტა და გაექანა თავის წიწილეობისკენ, რომელნიც ერთად შეგროვილიყვნენ და დაძაურუებული წივილით ერთმანეთს დაობლებას შესტიროდნენ.

დევას შვილები უვსებლად დაუსვდნენ; მხოლოდ ქოჩორას თავი ჭქონდა გადაჟვლეფილი და, ჩამონადენ სისხლით მთლად წითლად გაბასრული, მიწასე ძლივს დადოდა. ღაბუამ სხვა წიწილებს თავი მიანება და ქოჩორას დაუწყო გარშემო ტრიალი და კშტკშტი.

უანურატო-გამოგლეჯილმა ქოჩორა-კი დაიწყო მიწასე ფართხალი და, ჩვენდა სასისხარულოდ, ძაღუ ფეხები გაჭიბა.

მე ძლიან გამიკვირდა ღაბუას ასეთი თავ-განწირვა შვილის გადასარჩენად. მიუხედავად, რა ძლიერი იყო მასში გრძობა დედობრივი სიუკარულისა. უნებლიედ მისდამი ზატივისცემა ვიგრძენ და მისი ჩემდამი დანაშაული გულში ვაპატივე.

ბებინამ აიუგანა ქოჩორა, გადამძვრალი ტვაჯი ისევ გადააფარა, დორის ქონი წაუსვა და ოსტატურად შეუხვია. სამოთხ დღეში წიწილას ჭრილობა მოურჩა, მაგრამ მთლად გაილასტა და ძლივს-და დაღასლასებდა. ამასთან ცალოთვალსა და თავის ღამას ქოჩორს სამუდამოდ გამოეთხოვა.

გოგომ დამახინჯებულ ქოჩორას მუღობელობაზე უარი განაცხადა. მე-კი დანაგრული და დავრდომილი უფრო მენახებოდა და ჩემში მეტ თანაგრძობას იწვევდა. ამიტომ ჩემი დომფალა მას დაუთმე, ქოჩორა-კი მე დავისაკუთრე და მისი კამოხრდა მიზნად დავისახე.

სახელი „ქოჩორა“ მას აღარ შეეფერებოდა და „ღაბლურა“ დავარქვი, რადგან, იმ უბედური შემთხვევის შემდეგ, ფუტვის კენკის, თუ სხვა საჭმელის ძებნის დროს, სულ სადი





თვალისაკენ ტრიალებდა და მისი ამკვარი სიარული დაველქ-  
რის თამაშობას შატონებდა.

საკენკის ჭმევის დროს იგი თავის დაველურის გამო ნა-  
სეგრად შშიერი რჩებოდა. ამიტომ ავიუვანდი სოლმე სელში  
და ფეტვს ჩემი მუჭიდან ვაჭმევი.

ღაბუა აღარ ჯავრობდა ჩემ მიხსლოვებასზე; კრძნობდა,  
რომ იმას და მე ერთი აზრი გვაერთებდა: ბედისაგან დანა-  
გრული დაველურა და-შმებისათვისაც არ დაგვეჩავურინებინა  
და, ქორის კლანჭებიდან დანსნილი, სიკუდილის კლანჭებიდა-  
ნაც დაგვესსნა. როცა მე დაველურა სელში მეჭირა, ღაბუა  
მოვიდოდა სოლმე ჩემთან და თანავრძნობის ნიშნად ჩემს  
გარშემო ალერსიანად კუტკუტებდა.

დ. ძემაშიძე.





## მელა და არწივი

არწივო, არწივო, ქმანსაველე ფრენა!.. — შეეხვე-  
წა მელა არწივს.

— ფრთები არა გაქვს, და ჩამოვარდე-  
ბი, — უნასუსა არწივმა.

— არა, არ ჩამოვარდები, არა! მსოლოდ შენ სულ მალ-  
ლა ამიტანე! — არ ეშვებოდა მელა.

არწივმა ფრთხილად წაბვლო კლანჭები, და როდესაც მალ-  
ლა ჭბერში აიტანა, „გაფრინდიო“ უთხრა და თან კლანჭები  
გაშალა.

მელა, რასაკვირველია, ძირს ჩამოვარდა. არწივს უნდოდა  
შეორედ მდლა აეტანა, მაგრამ მელა მკვდარი იყო.





# დევისა და კაცის არაკი

(სამეგრელოში ჩანერილი ზღაპარი

როსებ ყიფშიძის მიერ.)



ეკს მოეწინდინა კაცის ნახვა და სთქვა:  
მანცადადმანც კაცი უნდა ვნახო. წა  
ვიდა კაცის სამეხედად. იარა, იარა, იარა,  
და გზაში ტურა შეხვდა. დევა წაატანა  
ტურას ხელი, დაიჭირა და უთხრა:

— შენა ხარ კაცი?

— არა, მე კაცი არა ვარ,—უთხრა ტურამ

— აბა კაცი უნდა მანვენო!

ტურამ უთხრა:

— კაცს განუენებ, მაგრამ შენც მოგკლავს და შეცდო.

— რისთვის? ჰკითხა დევა.

— მისთვის, რომ იმისთანა ავასაკი ქვეყანაზე სხვა არა-  
ვინ მოიბოუბაო,—უთხრა ტურამ.

— ნუ გეშინია: შენ ოდონდ შორიდან მანკენე კაცი და  
შემდეგ გაგიშვებო,—უთხრა დევა.

— კარგო,—უთხრა ტურამ და წავიდათ ერთად.

იარეს, იარეს და შეხვდათ დიდ-ბიბილოყანი მამალი.

დევა ჰკითხა ტურას:

— ეს არის კაცი?

ტურამ უთხრა:

— არა, ამას მამალს ემხინა; კაცი ჰკლავს მას და სჭამს.

ცოტა წინ წაიწიეს. შემოხვდათ ძროხა. დევმა ჰკითხა ოტურამ:

— ეს არის კაცი?

— არა, ამას ძროხა ჰქვიათ, და როდესაც საჭირო იქნება, ჰკლავენ და სჭამენ.

იარეს, იარეს და ერთ დიდ უდაბურ ტყეში შევიდნენ. ოტურამ ეურები დაცქვიტა. დევმა ჰკითხა:

— რა ამბავია?

ოტურამ უპასუხა:

— კაკუნი გესმის?

— შესმის.

— აბა—ეს კაცია, და გირჩევარ მისვიდე, თორემ მოკვლავსო.

— ის მე ვერ მოძულავს, ოღონდ შენ შორიდან მახევეო.

ცოტა წაიწიეს წინ და ოტურამ უთხრა:

— აჰა, კაცი. მაგრამ ნუ მისვალ იქ, თუ სიკვდილი არ გინდაო.

— ის მოძულავს მე? იმას დაუტერ ფეხს და გაუტელურებ. თუ გინდა თვალის სეირი ნახო, შორიდან მიეურეო.

დევმა იარა, იარა, და იმ კაცთან მივიდა. კაცს ცული უკავია და შემას სჭრის. დევი წინ წაუდგა. კაცმა რო დაინახა, თმა ვალებზე დაუდგა; მიწაში ჩამკრეს, თუ რა ქნას—არ იცის.

— შენა ხარ კაცი?—ჰკითხა დევმა.

კაცმა სული მოითქვა და სმა—მაღლა დაუვირია:

— მე ვარ კაცი!

— ერთი კვირბა შენ გეძებ, და ვერ ცნახეო.

— რისთვის შემეძდი?

— რისთვის, და მე და შენ უნდა ვიჭიდაოთო.

— როგორ არა, —უთხრა კაცმა,—შენ აგერ ერთი კვირბა ნამზადები ხარ ჩემ საჭიდაოდ, მე კი მოუწოდელი ვდგავარ,



შეძას ვჭრი და შენ უნდა გეჭიდაო? ჩემი სახსუბარი იარაღი უკვლავფერი სახლში მაქვს: მოვიტან და შენმე გეჭიდავებო.

— კარგი, წადი და მოიტანე შენი იარაღი, — უთხრა დეემა.

— იარაღს კი მოვიტან, მაგრამ ჩემ მოსვლამდის შენ გაიქცევი, და მაშინ მე უნდა გავვიქცეო.

— არა, დმერთმანი არ გავიქცევი.

— მარტო ფიცზე ვერ გენდობი, — უთხრა კაცმა.

— აბა როგორ?

— როგორ და შეგერავ და შემდეგ იქნებ ვეღარ გაიქცე, — უთხრა კაცმა.

— კარგიო, — უთხრა დეემა.

ამ კაცმა მოიხსნა ბაწარი, უკან რომ ჰქონდა მიკრული, ატევა და ფეხიდან თავამდის შემოახვია.

— აბა ასლა რაც შეგეძლოს დაჭიმე ბაწარი და დასწვივი ტე. — უთხრა კაცმა.

დეემა მოინდომა დაწვევტა, მაგრამ ვერა გააწეო-რა.

— შენ გეხარება, თორემ ამას დასწვევტა და გაიქცევი, — უთხრა კაცმა. — რაც რო დონე გაქვს — დასჭიმეო.

დეემა ვერ გასწვივიტა ბაწარი. მაშინ კაცმა აიღო ცული და თავში დაჭკრა დევს.

— რასხა შერები? — ჰკითხა დეემა.

— გეთამაშები, — მიუგო კაცმა.

დაჭკრა მეორედ. დეემა დაიღრიალა, და რაც ძალი და დონე ჰქონდა ცდილობდა დაწვევტა ბაწარი, მაგრამ ვერაფერს გახდა. ტურა დგას შორს და უვეირის კაცს:

— დაჭკარი მაგ ავანჯაკს, დაჭკარი, მაგან მე არ დამიჯერაო!

კაცმა ცულით დევს თავი გაუტყხა და შემდეგ თავის საქმეს მიტეო სელი.





## ცხოველების მეგობრობა

**მ**თ სახლში ცხოვრობდა ძაღლი და კატა. იმათ ძაღლიან უუვარდათ ერთმანეთი. ძაღლს უუვარდა დაშაქრული ზაქსიმადები (სუსარი), მაგრამ არ აძლევენ. კატა კი ზაქსიმადებს არ სჭამდა.

ერთხელ საღამოს დასასხლისმა დადგა ზაქსიმადები კამოდზე და დილით უცებ შენიშნა, რომ რამდენიმე ცალი ავლია. მეორე დამკს მოულოდნელად შევიდა დასასხლისი ოთახში, სადაც დაშაქრულები იდგა, და რას სედავს!—კამოდზე ზის კატა, იღებს თეფშიდან ზაქსიმადებს და თავის შეკობარ ძაღლს იატაკზე უვრის.

ერთ სახლში დამეკობრდნენ კატა და იაღონი. ჩიტს სშირად უშუებდნენ კალიიდან. ის ზირდაზირ მიფრინავდა კატასთან, თამაზად აჯდებოდა ზურგზე და ჭიკჭიკობდა. ერთხელ კატა მივარდა იაღონთან, რომელიც ფრთხილობდა ოთახში, და კბილი წაავლო. ეველას ეკონა, რომ ის ჩიტს შესჭამდა, მაგრამ, როცა გამოართვეს ფრინველი კატას, იაღონი უვნებლად ნახეს.

რა აღმოჩნდა? ოთახში შესულიყო სხვისი კატა და ჩიტს ეზარებოდა.




ერთ ეზოში მცხოვრები ცხენი და ძაღლი თითქმის ყოველთვის კეთილი შეგობრები არიან. თუ ერთმანეთს დააშო-



რეთ, დიდხანს მოწყენით არიან. როცა შესვლებიან ერთმანეთს, ძაღლიან უხარიათ.

ი. ზედოზნელი






## მოძრავი სტეარინის სანთელი

დიდეთ ერთი სანთელი და ორივე მხრივ ერთნაირად უჩინეთ ჰატრუქი. სანთლის შუა ადგილას ორივე მხრივ შეურჩეთ თავით ქინძისთავი (ქინძის თავს თავი გაუცხელოთ). ამ რიგად ეს ორი ქინძისთავი იქნება მოძრავი სანთლის ღერძი. ღერძის ბოლოები დასდეთ ორ ერთნაირ ჭიქაზე, როგორც ნახვენებია სურათზე. სანთლის ბოლოების ქვეშ შეუდგეთ თითო თეფში. ახლეთ ორივე მხრივ სანთელი. რასაკვირველია, რომელიმე მხრიდან უფრო ადრე ჩამოვარდება სანთლის ღვეთი და თანასწორობა დაირღვევა. ის ბოლო, რომელიდანაც ჰირველად ჩამოვარდა წვეთი, ცოტათი შემსუბუქდება და ოდნავ მადლა აიწვეს; მეორე ბოლო-კი მადლა დაეშვება. ამ რიგად თანდათან ერთი მხარე სანთლისა მადლა ავა, და მეორე დაბლა დაეშვება. ჰირველად ეს მოძრაობა ხელი იქნება, და შემდეგ უფრო მეტი სისწრაფით ავა და დავა სანთელი. რომ უფრო გასწართობი იყოს სანთლის მოძრაობა, გამოსჭერით მსხვილი ქაღალდის (კარტონის) ორი ჰატარა გა-





ცუნა, შიაკართით იძისთანავე ქალაღდის ნაჭერსე და ეს ნაჭრები ქინძის თავეებით დაბაკრეთ სანთელზე, ისეუკი რომ ალი არ სიჭდეს. ამ რიგად ეს კაცუნებიც სანთელს აჭეუებთან დაჭეუებთან.



# კეპუსი

(წარმოდგენილია დ. კლიაზიშვილის შიერ)

ზ  
ხორბლის  
გროვის  
რა  
ჭეუიან?

100,



წლის  
1/12



ზ



ძვირფასი  
ლითონი



ი



ე



უნ

100  
ამ რიცხვის  
სახელი  
წაიკითხეთ  
უკულმა.



# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადული“ № 1

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერად**

**24** წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და აღრესის გამოცვლა დროზე შეგვაცნობინონ. აღრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

### ხელის მოწერა მიიღება

**ტფილისში**— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახელი ვოლოვინის ბროსა. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, შ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიისში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილგ მეგრელიშვილთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ტ. ლანჩხუთში—ლევო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—პარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. კავჭანიძესთან. **მიხაილავოში**—გაორგი ნაკაშიძესთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი მ. პავლე იოსებისძე თუმანიშვილი.